

**ზვიად გამსახურდიას  
პოლიტიკური პორტრეტისათვის  
(გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 1991-1993 წლებში  
გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით)  
FOR THE POLITICAL PORTRAIT  
OF ZVIAD GAMSAKHURDIA  
(BASED ON THE ARTICLES PUBLISHED  
IN “NEW YORK TIMES” IN 1991-1993)**

**ოთარ ნიკოლეიშვილი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Otar Nikoleisvili**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

Unfortunately, in the years before the restoration of Georgia’s state independence and at the first stage of this historic event, the role of Zviad Gamsakhurdia, the leader of the Georgian people’s national liberation struggle has been mostly portrayed in a negative way in Georgia-related articles in the New York Times, while the country was striving in the direction of restoring state independence. This circumstance has primarily occurred because the authors of the above-mentioned publications were not properly aware of the situation in our country at that time and received the necessary information in this regard mainly from the Moscow bureau of the New York Times.

In terms of assessing the circumstances in our country, the situation is starting to change for the better after the arrival of Eduard Shevardnadze in Georgia.

From this time on, the authors of newspaper articles no longer refer to Georgia as a separatist republic, neither do they identify those in power at the time in our country as separatist leaders. Such a radical change in the attitude of American journalists and political scientists towards this phenomenon was, first of all, because the Soviet Empire had long since officially dissolved and mention of union republics in old terms made no sense. Based on the above materials, we can conclude that the then-existing negative attitude of American political scientists and journalists towards Georgia and its first president has significantly aggravated and further intensified the processes that have substantially hindered a real solution to the problem of restoring our state independence.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს უახლესი ისტორია, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საქართველოში, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა, ამერიკული პრესა.

**Keywords:** Contemporary history of Georgia, The policy of the Soviet Union in Georgia, The work of Zviad Gamsakhurdia, The American Press.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე წლებსა და ამ ისტორიული მოვლენის პირველ ეტაპზე გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის – ზვიად გამსახურდიას როლი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის პროცესში, სამწუხაროდ, უმთავრესად ნეგატიური სახით იყო წარმოჩენილი. კერძოდ, 1991-1993 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ავტორების უმეტესობა მის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას არაობიექტურ და საბჭოთა იდეოლოგიასთან თანხვედრილ შეფასებას აძლევდა. ეს გარემოება უწინარესად იმით იყო განპირობებული, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში იმხანად არსებულ ვითარებას სათანადოდ არ იცნობდნენ და ამასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციებს ძირითადად გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოვის ბიუროდან იღებდნენ, ვითარების არსში სიღრმისეულად არ იყვნენ გარკვეულნი და ამის გამო ბევრ საკითხს არასწორად და ტენდენციურად აშუქებდნენ.

მაგალითად, 1991 წლის 10 თებერვლის „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ნათქვამია: „ლტოლოგიები და დაჭრილი ბავშვები უფრო იოლი სანახავია, ვიდრე სიმართლე ამ მთიან რეგიონში, სადაც ახლახანს წარმოიქმნა კონფლიქტი კრემლსა და თავდაჯერებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის... თორმეტი ოსი და ქართული მილიციის ოთხი თანამშრომელი დაიღუპა გამართულ ბრძოლებში. მილიცია არის საქართველოს ლიდერის – ზვიად გამსახურდიას კონტროლქვეშ. იგი არ გახლავთ კომუნისტი, არამედ სეპარატისტული მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელია, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება წინა წლის ოქტომბერში გამართულ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში და ხელისუფლებაში მოვიდა უმრავლესობით...“

ოსები, რომლებიც მთის მოსახლეები არიან, და ქართველები, რომელნიც უმეტესად ბარში სახლობენ, საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. უახლესი კონფლიქტი მათ შორის კი მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ბატონი გამსახურდიას საპარლამენტო ბლოკი იქნა არჩეული მოსკოვისაგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევის პლატფორმით...

ამ კონფლიქტის შედეგად ცხინვალის 65 ათასი მცხოვრებიდან 15 ათასი ლტოლვილად იქცა. ქართველები წავიდნენ თავიანთ დედაქალაქ თბილისში, ოსები კი ცდილობენ გადავიდნენ ჩრდილოეთ ოსეთში, რეგიონში, რომელიც რუსეთის ნაწილი უფროა, ვიდრე საქართველოსი“ (New York Times, February 10.02.1991).

როგორც ციტირებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, წერილის ავტორს საქართველოში იმხანად არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი არასწორად აქვს გააზრებული. მათგან განსაკუთრებით გულსატკეპნია ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხის იმჟამინდელი ბრძოლა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გამოსასვლელად და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ სეპარატიზმად არის მიჩნეული, ამ ბრძოლის თავკაცები კი სეპარატისტებად არიან გამოცხადებულნი.

სამწუხაროდ, აღნიშნულ მოვლენას ასეთი შეფასება მხოლოდ დამოწმებულ წერილში არ ეძლევა და მსგავსი შინაარსის მქონე ციტატები საკმაოდ მრავლად შეიძლება მოვიშველიოთ იმხანად გამოქვეყნებული სხვა პუბლიკაციებიდანაც.

მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 7 მარტის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სადაც საუბარია „შეიარაღებული ოსების მცირე რაზმსა და 1500 კაციან ქართულ მილიციას შორის მომხდარ დაპირისპირებაზე“, ოსი სეპარატისტების ბრძოლას საქართველოდან მათი რეგიონის გამოსაყოფად და რუსეთთან შესაერთებლად ასეთი შეფასება აქვს მიცემული: „საქართველოს ნაციონალისტი ლიდერები, რომელთაც ფიცი დადეს, რომ მიიყვანდნენ რესპუბლიკას დამოუკიდებლობამდე, რეპრესიებს უწყობენ ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებს“.

გარდა დამოწმებული წერილისა, გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი (Francis X. Clines) ზვიად გამსახურდიას მისამართით კიდევ ერთ უსაფუძვლო ბრალდებას აჟღერებს და დასძენს, რომ „ოსეთის ერთ დროს მშვიდობიან დედაქალაქში მცხოვრები ოსი უმცირესობა ებრძვის ქართველებს, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ...“

შეუსაბამობა აღინიშნება ქვეყნის ახალ სამიმ პოლიტიკაში სეპარატიზმთან მიმართებით. საქართველოს მთავრობა ერთის მხრივ ითხოვს დამოუკიდებლობას კრემლისგან, მეორეს მხრივ კი ებრძვის ოსებს, რომლებიც მოითხოვენ უფრო ცოტას – მეტ თვითმმართველობას საქართველოსაგან“ (New York Times 24.03.1991).

1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის მეორე დღეს კი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი წერდა: „ოფიციალური შედეგები ჯერჯერობით არ გამოცხადებულა, თუმცა ეჭვი არ არის, რომ ზვიად გამსახურდია მოიპოვებს ხელმოსაჭიდ გამარჯვებას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში...“

მაგრამ ქართული რეფერენდუმი, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებისა, სეპარატისტული ხასიათისაა და ხელს უწყობს საბჭოთა კავშირში პოლიტიკური სუვერენიტეტის საბაზით სიტუაციის ბალკანიზაციას...

გასულ წელს, მან (ზვიად გამსახურდიამ - ო. ნ.) იწინასწარმეტყველა არჩევნებში 80 პროცენტის მხარდაჭერა და დაპირდა ხალხს, რომ იგი ამ შემთხვევაში ახალ ბიძგს მისცემდა სეპარატისტულ მოძრაობას და მოცილებდა კომუნისტურ მმართველობას კავკასიის ამ მთიანი რესპუბლიკის პარლამენტიდან...“

თუმცა, თავის მხრივ, ჟურნალისტის აზრით, „იმის პასუხად, რომ ოსებმა მოითხოვეს მზარდი ქართული ნაციონალიზმისაგან თავიანთი უფლებების უფრო ძლიერი დაცვა, საქართველოს პარლამენტი მათ დეკემბერში ნახევრად ავტონომიური სტატუსიც კი ჩამოართვა...“

სტატიის ავტორის აზრით, სწორედ ამის გამო იყო, რომ „ოსებმა, რომლებიც წარმოადგენენ პრომოსკოვურ უმცირესობას და რომელნიც ამჟამად საომარ მდგომარეობაში არიან ქართველებთან, ბოიკოტი გამოუცხადეს რესპუბლიკის პლებისციტს“ (New York Times 01.04.1991).

როგორც ზემოთ ციტირებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, ქართულ-ოსური კონფლიქტის შეფასების დროს სტატიის ავტორი

არა მარტო ისტორიულ ფაქტებს ამახინჯებდა, არამედ მკითხველს იმჟამინდელი ვითარების შესახებაც აწვდიდა ყალბ ინფორმაციას, როცა წერდა, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებმა მოსახლეობამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ჩატარებულ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა. როგორც ცნობილია, სინამდვილეში აღნიშნული რეფერენდუმი საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთშიც და ე. წ. „სამხრეთ ოსეთშიც“, გაიმართა და მასში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა მიიღო.

ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასების თვალსაზრისით სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვლას საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ იწყებს. კერძოდ, ამ დროიდან მოყოლებული, საგაზეთო პუბლიკაციათა ავტორები უკვე აღარც საქართველოს მოიხსენიებენ სეპარატისტულ რესპუბლიკად და არც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ხელისუფალთ სეპარატისტთა ლიდერებად. აღნიშნული მოვლენისადმი ამერიკელ ჟურნალისტთა და პოლიტოლოგთა დამოკიდებულების ასეთი რადიკალური შეცვლა, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტმა განაპირობა არსებითად, რომ საბჭოთა იმპერია იმხანად უკვე ოფიციალურად იყო დაშლილი (როგორც ცნობილია, ეს ისტორიული აქტი 1991 წლის 25 დეკემბერს იქნა ხელმოწერილი), რის გამოც მის შემადგენლობაში შემავალი ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების ძველი ტერმინებით მოხსენიება აზრს კარგავდა.

სამწუხაროდ, ვითარების ასეთი რადიკალური შეცვლის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიასადმი ამერიკელ პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა მკვეთრად გამოხატული არაკეთილგანწყობითი დამოკიდებულება არც ამის მერე შეცვლილა. მაგალითად, აფხაზეთში საომარი ოპერაციების დაწყების (1992 წლის 14 აგვისტო) შემდეგ, გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ნათქვამია, რომ ქვეყნის იმჟამინდელ ახალ მეთაურს – ე. შევარდნაძეს არა მხოლოდ ეთნოკონფლიქტების დასარეგულირებლად უწევდა ზრუნვა, არამედ ექსპრეზიდენტის მომხრეებთანაც, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ქვეყანას. „მან (ედუარდ შევარდნაძემ – ო. ნ.) გაგზავნა ძალები აფხაზეთში მას შემდეგ, რაც ყოფილი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა სამშაბათს მძევლად აიყვანეს საქართველოს პოლიციის 12 მაღალჩინოსანი. ბატონი შევარდნაძის განცხადებით, „ბანდიტების“ ხელში იმხანად კვლავაც რჩებოდნენ ორი პოლიციელი და ვიცე-პრემიერი ალექსანდრე კავსაძე, რომლებიც აფხაზ სეპარატისტთა მიერ იყვნენ რამდენიმე კვირის წინ მძევლებად აყვანილნი“ (New York Times 16.08.1992).

მსგავსი პათოსია დამახასიათებელი შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებული სხვა სტატიებისთვისაც, სადაც ჩვენი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი რეაქციონერად და შეიარაღებული ბანდების ხელმძღვანელადაა გამოყვანილი. ნათქვამის დასტურად მოვიყვან შესაბამის მაგალითებს.

„გავრცელებული ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში იფეთქა აჯანყების ახალმა კერამ, რომლის უკანაც დგას ზვიად გამსახურდია“



(New York Times 19.09.1993). ჟურნალისტი სერჟ შმემანი (Serge Schmemmann) საქართველოში იმხანად განვითარებული მოვლენების შეფასებისას იქვე იმის შესახებაც იუწყება სავსებით მართებულად, რომ ზვიად გამსახურდია ხელისუფლებიდან ქუჩის სისხლიანი ბრძოლების შედეგად იქნა განდევნილი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთში იმხანად გამოქვეყნებულ სტატიათა ავტორების ერთი ნაწილი ზ. გამსახურდიას ქვეყნის ლეგიტიმურ მმართველადც მოიხსენიებს ხოლმე. ასე ხდება 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგაც კი. მაგალითად, 25 აგვისტოს „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად გარკვეულ ძალთა მიერ ქვეყნის მეთაურად მიწვევისა, ედუარდ შევარდნაძე თავის მოქმედებებში თავისუფალი მაინც არ იყო და საკუთარ თავს „ნახევრად ლეგიტიმურსა და ნახევარმმართველს უწოდებდა“.

აქედან გამომდინარე, ჟურნალისტ სტივენ ერლანგერის (Steven Erlanger) აზრით, „შევარდნაძის მზერა მიპყრობილი იყო 11 ოქტომბრის არჩევნებისაკენ, რომელიც მას კვლავ დააბრუნებდა საქართველოს ლეგიტიმური მთავრობის მმართველობაში და მიანიჭებდა რეალურ მანდატს“ (New York Times 25.08.1992).

ვფიქრობ, წერილში გამოთქმული მოსაზრება მთავრობის ლეგიტიმურობის შესახებ გადაჭარბებული იყო, რადგანაც ახალი ხელისუფლების კანონიერების ლეგიტიმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჯერ ძველის აღდგენა-რეაბილიტაცია მოხდებოდა და შემდეგ ჩატარდებოდა არჩევნები. ასეთი რამ კი რეალურად არ განხორციელებულა.

რაც შეეხება არჩევნების შედეგების შესაჯამებლად გამოქვეყნებულ სტატიას, მასში ნათქვამია: „კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 83 პროცენტზე მეტმა, რომელთა 90 პროცენტმაც მხარი ედუარდ შევარდნაძეს დაუჭირა“ (New York Times 11.10.1992). მოსახლეობის ასეთი ნდობა, გაზეთის ცნობით, იმით იყო გამოწვეული, რომ „შევარდნაძემ მას შემდეგ აიღო ხელისუფლება, რაც საქართველოს პირველი არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იქნა გაძევებული ქუჩის სისხლიანი ბრძოლებისა და სამხრეთ ოსეთში არსებული ბინძური ეთნიკური ომის შემდეგ“ (New York Times 12.10.1992). სტატიის ავტორის აზრით, ქვეყნიდან გამსახურდიას განდევნის შემდეგ „ბევრმა ქართველმა სწორედ მასში (შევარდნაძეში – ო. ნ.) დაინახა ის მოღვაწე, რომელსაც შეეძლო ფეხზე დაეყენებინა საქართველო და გამოესწორებინა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა“ (New York Times 11.10.1992).

გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ედუარდ შევარდნაძეს მაშინ საზოგადოებისათვის ფართოდ ცნობილმა და პატივცემულმა მრავალმა მოღვაწემ გამოუცხადა ნდობა და მხარდაჭერა. ნათქვამის დასტურად მოვიყვან ნაწყვეტს ერთ-ერთი სტატიიდან: „როდესაც იგი (ედუარდ შევარდნაძე – ო. ნ.) იყო

ორთოდოქსი კომუნისტი, მე მთლიანად მოწინააღმდეგე ვიყავი მისი, – განაცხადა აკაკი ბაქრაძემ, მწერალმა, რომელიც არის სახელმწიფო საბჭოს წევრი და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საპატიო ვეტერანი. – ის, რომ იგი იყო კომუნისტი, არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს, მაგრამ ამაზე ახლა ყურადღება არ უნდა გამახვილდეს. ამჯერად ჩვენ ვუყურებთ მას, როგორც კაცს, რომელმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში. იგი ჩამოვიდა აქ სხვა კაცი. ვფიქრობ, მისმა კონტაქტებმა დასავლეთთან მთელი ამ წლების განმავლობაში დიდი როლი ითამაშეს მის შეცვლაში“ (New York Times 11.10.1992).

შევარდნაძის კომუნისტურ წარსულზე გაზეთში სხვა დროსაც ხშირად მახვილდება ყურადღება. მაგალითად: „სასიამოვნოდ მოსაუბრე და არნახულად თავაზიანი შევარდნაძე სტუმრებს სახელმწიფო საბჭოში განთავსებულ თავის მოკრძალებულ ოფისში ხვდება...“, სადაც იგი ერთხელ უკვე მუშაობდა, როგორც კომუნისტური პარტიის ბოსი. ამჟამად მისი მაგიდის უკან ჰკიდია ხატი, რომელიც არის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის ილია II-ის საჩუქარი“ (New York Times 12.10.1992).

რაც შეეხებათ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს, მათი საქმიანობის შეფასების დროს გაზეთში არაორაზროვნად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ აფხაზეთისთვის ომში ქართველთა დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ე.წ. „ზვიადისტებსა“ და მამინდელი ხელისუფლების მომხრეებს შორის არსებული დაპირისპირებაც იყო. ეს პრობლემა გაზეთში მრავალი კუთხითაა გაშუქებული და ბევრი საინტერესო პარალელია გავლებული. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „შევარდნაძე და მისი მომხრეები ამ კვირაში ემზადებიან თავიანთი მეორე კრიზისის მოსაგვარებლად, რომელიც უკავშირდება ბატონ გამსახურდიას, ქართველ მხურვალე ეროვნულ მოღვაწეს, ვინც განდევნილ იქნა 1992 წლის იანვარში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად და ჩავიდა თავის მშობლიურ სამეგრელოში ხელისუფლებაში დასაბრუნებელი გზების საძიებლად.

მიუხედავად დაპირებებისა სოხუმის დაცვის დროს დახმარების თაობაზე, გამსახურდიას მომხრეები 11-დღიანი ალყის დროს არ გამოჩენილან და ძალებს იკრებდნენ კვირის ბოლოს ფოთზე შეტევისათვის, რომელიც წარმოადგენს შავი ზღვის კიდევე ერთ სანაპირო და სასიცოცხლო მნიშვნელობის ქალაქს თბილისისათვის“ (New York Times 03.10.1993).

თავის მხრივ „ბატონი გამსახურდია, რომელიც რეგულარულად ადანაშაულებს შევარდნაძეს მოსკოვის აგენტობაში, თავის უკანასკნელ ინტერვიუებში აცხადებს, რომ იგი არ მოილაპარაკებდა თავის მოსისხლე მტერთან და სამხედრო გამარჯვებით აიძულებდა მას თანამდებობიდან წასულიყო“ (The New York Times 20.10.1993).

„სოხუმში დამარცხების შემდეგ, ეს ქანცგაწყვეტილი ქვეყანა ემზადება ბრძოლისთვის ორ ძველ მეტოქეს შორის – ყოფილ ეროვნულ დისიდენტ გამსახურდიასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის უფროსად ნამყოფ შევარდნაძეს შორის, რამაც შესაძლოა ფატალური შედეგი გამოიღოს“.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, სახელმწიფოს მაშინდელმა მეთაურმა ქვეყანაში „სახელმწიფოებრივი წესრიგის“ აღსადგენად კვლავინდებურად რუსული ჯარის გამოყენება გადაწყვიტა. ამ ფაქტს გაზეთმა შემდეგი შეფასება მისცა: „სამი კვირის წინ ბატონი შევარდნაძე... ადანაშაულებდა მოსკოვს სეპარატისტთა მხარდაჭერაში. მაგრამ გამსახურდიას ჯარების მიერ სასიცოცხლო გზისა და თბილისის შავ ზღვასთან დამაკავშირებელი მაგისტრალების დაკარგვის შემდეგ აღნიშნული ბრალდებები ღალატის შესახებ უმაღლვე იქნა დავიწყებული. საქართველოს დამლა-დაქუცმაცების უმთავრესი ბოროტმოქმედიდან რუსეთი უეცრად გადაიქცა საქართველოს ერთიანობის ბოლო და საუკეთესო იმედად“.

ზ. გამსახურდიასადმი ამერიკელ ჟურნალისტთა და პოლიტოლოგთა იმჟამინდელი დამოკიდებულების არსში კიდევ უფრო მეტად გასარკვევად აქ ის პუბლიკაციებიც მინდა გავიხსენო, რომლებშიც საქართველოში პირველად ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებია შეფასებული. მაგალითად, ჟურნალისტ სერჟ შემმანის ერთ-ერთ სტატიაში („სეპარატისტი იმარჯვებს საბჭოთა საქართველოს არჩევნებში“) ნათქვამია:

„დღეს გამოცხადებული შედეგების მიხედვით, კვირას გამართულ რესპუბლიკის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა საქართველოს ნაციონალისტმა ლიდერმა...“

საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიამ, რომელიც გახლდათ ყოფილი პოლიტპატიმარი და ასევე პროსეპარატისტულად განწყობილი პარლამენტის პრეზიდენტი, მიიღო ამომრჩეველთა 87 პროცენტი. მისმა უახლოესმა მეტოქემ, ვალერიან ადვამემ მხოლოდ 6 პროცენტი, დანარჩენმა კანდიდატებმა კი 2 პროცენტზე ნაკლები“.

ჟურნალისტის აზრით, არჩევნების ამგვარი შედეგი იმითაც იყო განპირობებული, რომ „საარჩევნო კამპანიის დროს ბატონი გამსახურდია განუწყვეტილად ადანაშაულებდა თავის ოპონენტებს მოსკოვისა და კვბ-ს აგენტობაში. ხოლო, როდესაც ბატონმა ადვამემ მის პირად მცველად ოთხი რუსი პიროვნება დაიქირავა, ქართული უშიშროების ძალებმა ისინი დააპატიმრეს“ (New York Times 28.05.1991).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ჩვენ სიმართლის გარკვეულ ელემენტებსაც ვხვდებით და ზვიად გამსახურდიას მართლაც გააჩნდა გარკვეული საწყისი უპირატესობა მის სხვა კონკურენტებთან შედარებით, ვფიქრობ, სტატიის ავტორის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი და მისი მხრიდან საქართველოს კვლავ საბჭოთა რესპუბლიკად, ხოლო დემოკრატიულად არჩეული მისი პრეზიდენტის სეპარატისტად მოხსენიება კატეგორიულად მიუღებელი და დასაგმობია.

ჟურნალისტი ასევე უარყოფითად აფასებს დამოუკიდებლობის მოსურნე სხვა რესპუბლიკათა შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილსაც. მაგალითად, იგი წერს: „ქართულ არჩევნებთან ერთად, მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში იქმნება „ეროვნულ ფრონტთა ასამბლეა“ (Assembly of National Fronts). მის შემადგენლობაში ის ექვსი რესპუბლიკა შევა, რომელთა განზრახვაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფაა.“

საქართველოსა და მოლდავეთის გარდა, ესენი იყვნენ: სომხეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა.

მონაწილეთა განცხადებით, ასამბლეის მიზანი იქნება „კოორდინირება გაუწიოს ამ ექვსი რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაბიჯებს“. სტატიის ავტორის თქმით, ეს მაშინ ხდება, როცა „ცხრა დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერი – სლავური და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები – აპრილში შეხვდნენ ბატონ გორბაჩოვს, რათა შეთანხმებულიყვნენ ახალი კავშირის ჩამოყალიბებაზე თავისი ახალი კონსტიტუციით“ (New York Times 28.05.1991).

ამგვარად, ზემოთ განხილულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამერიკელ პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა იმჟამინდელმა ნეგატიურმა (უკეთეს შემთხვევაში კი ინდიფერენტულმა) დამოკიდებულებამ საქართველოსა და მისი პირველი პრეზიდენტისადმი არსებითად შეუწყო ხელი იმ პროცესების შემდგომ გამწვავებასა და კიდევ უფრო მეტად გამძლიერებას, რომელთაც მნიშვნელოვნად შეაფერხეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემების რეალურად გადაწყვეტა.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**ნათმელაძე... 2004:** ნათმელაძე მ., დაუშვილი ალ., საქართველოს უახლესი ისტორია, თბილისი, 2004.

**საქართველოს ისტორია 2003:** საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, 2003.

**The New York Times**, 10.02.1991.

**The New York Times**, 24.03.1991.

**The New York Times**, 01.04.1991.

**The New York Times**, 28.05.1991.

**The New York Times**, 16.08.1992.

**The New York Times**, 25.08.1992.

**The New York Times**, 11.10.1992.

**The New York Times**, 12.10.1992.

**The New York Times**, 19.09.1993.

**The New York Times**, 03.10.1993.

**The New York Times**, 20.10.1993.